

სიმინდის ტექნიკური მახასიათებლები



შესავალი

სიმინდი არის ტრიოკული მცენარე ბალახისებრთა ოჯახიდან. ის მოყვანილია როგორც მარცვლოვანი კულტურა, თავისი სახამებლით მდიდარი მარცვლების გამო, მაგრამ ასევე, როგორც საკვები მცენარე. ის არის მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული კულტურა.

ტემპერატურული ჯამი.

სიმინდი ძალზე დამოკიდებულია ტემპერატურაზე. ის ვერ ვითარდება 6 გრადუსზე დაბლ და 30 გრადუსზე მაღალ ტემპერატურაზე. განვითარების კონკრეტული სტადიები მიიღწევა მაშინ, როდესაც მცენარე მიიღებს ტემპერატურის გარკვეულ რაოდენობას. იმისათვის რომ გამოვითვალოთ საშუალო შეწონილი ტემპერატურა დღიურ საშუალო ტემპერატურას ვაკლებთ 6 გრადუსს. საუბარია საშუალო შეწონილ ტემპერატურაზე, რომელიც ეყრდნობა 6/30 გრადუსის მონაცემებს

$$\frac{T^{\circ} \text{ Min} + T^{\circ} \text{ Maxi}}{2} \quad -6$$

T° mini = მინიმალური დღიური ტემპერატურა.

T° maxi = მაქსიმალური დღიური ტემპერატურა.

თუ საშუალო ტემპერატურა ნაკლებია 6 °-ზე, მაშინ დღიური ტემპერატურა ჩაითვლება როგორც 0.

თუ დღიური ტემპერატურა მეტია 30 °-ზე, მაშინ 30 მიიჩნევა მაქსიმალურ ციფრად.

მცენარის მოთხოვნა, გრადუსი- დღის განმავლობაში, კულტურის ციკლის სხვადასხვა ფაზის განმავლობაში

ფაზა	საშუალო ხანგრძლივობა გრადუსი- დღეზე	შენიშვნები
თესვა - აღმოცენება	80°	+ 40-დან 50-მდე ცივი და ფხვიერი ნიადაგისათვის, ადრეული თესვა
ერთი ფოთლი	40-დან 45-მდე	
ფოთოლთა საბოლოო რაოდენობა	ჯიშის მიხედვით არის მუდმივად ერთი და იგივე რაოდენობის, კლიმატური ცვლილებებით გამოწვეულია სხვაობა ერთი ფოთლის რაოდენობით.	15-22 დამოკიდებულია ჯიშზე
ნერგიდან ყვავილობამდე	790-დან 1070-მდე	-50 თუ გვიან დაითესა +50 თუ ნიადაგი ცივი და ტენიანია თესვისას
თესვიდან აღებამდე 32% მთლიან იმცენარის მშრალი ნივთიერება	1360-დან 1800-მდე	
ნერგიდან აღებამდე 32% მარცვლის ტენიანობა	1600-დან 2100-მდე სახეობის მიხედვით	
მარცვლის ტენიანობის 1% დანაკარგი (60 და 30% შორის)	20 °	10-დან 1-მდე 60 %-სა 40 % შორის 17-დან 25-მდე 30%-სა 40 % შორის
სილოსის მშრალი მასის 1 %-იანი მატება	20 °	25-დან 20 - 25 % 22-დან 25 - 30 % 20-დან 30 - 40 %

სახეობის არჩევა

სახეობის ადრეულობის ნიშნებიდან გამომდინარე, მოსაღწევი საშუალო შეწონილი ტემპერატურა განვითარების კონკრეტული დონის მისაღწევად განსხვავდება. წინამდებარე ცხრილი წარმოადგენს მისაღწევ საშუალო შეწონილ ტემპერატურას სიმინიდ სახეობის ადრეულობის დონის მიხედვით, რომელიც აითვლება თესვის დღიდან:

ადრეულობის ჯგუფები	FAO-ს ადრეულობის ინდექსი	მისაღწევი საშუალო შეწონილი ტემპერატურა		
		ყვავილობა	სილოსის აღება 32% მშრალი მასა	მარცვლის აღება 35% მარცვლის ტენიანობა
ძალზე საადრეო	150-240	790-დან 835-მდე	>1.410	> 1.700
საადრეო	240-280	825-დან 870-მდე	1.415-დან 1.500-მდე	1.680-დან 1.760-მდე
½ საადრეო	260-330	850-დან 930-მდე	1.470-დან 1.570-მდე	1.740-დან 1.820-მდე
½ საადრეოდან ½ საგვიანო	310-400	920-დან 975-მდე	1.560-დან 1.600-მდე	1.800-დან 1.880-მდე
½ საგვიანო	400-480	975-დან 1.020-მდე	1.600-დან 1.670-მდე	1.870-დან 1.950-მდე
საგვიანო	470-560	1.020-დან	1.690-დან	1.940-დან 2.020-



		1.070-მდე	1.760-მდე	მდე
ძალე საგვიანო	550-620 +		< 1.780	< 2.000

აუცილებელია ჯიშების არჩევა საადრეობის ჯგუფის მიხედვით, რაც შეესაბამება წარმოების რეგიონის კლიმატს. საერთოდ, მარცვლეულის წარმოებისას უპირატესობა ენიჭება ჯიშებს, რომლებიც საჭიროებენ ნაკლებ ტემპერატურას, რაც უზრუნველყოფს მოსავლის აღებისას მარცვლის ტენიანობის დაბალი დონეს. სასილოსე სიმინდის შემთხვევაში, უფრო მეტად ტენიანი მოსავლის ასაღებად, შესაძლებელია უფრო მეტად საგვიანო ჯიშის არჩევა.

ნიადაგის მომზადება

ნიადაგის თესვისწინა დამუშავება, მიზანმიმართულია შექმნას იმგვარი სტრუქტურა, რომელიც იძლევა კარგი დაფესვიანებისა და ერთგვაროვანი აღმოცენების საშუალებას. ამიტომაც საჭიროა თავიდან იქნას აცილებული ნიადაგის ზედმეტი დატკეპნა და შენარჩუნებული იქნეს ტენიანობა, რომელიც ხელს უწყობს გაღვივებას. სიმინდი ძალიან მგრძობიარეა სარეველებთან კონკურენციის მიმართ. სასურველია ნიადაგის დამუშავება დათესვამდე ცოტა ხნით ადრე სარეველების აღმოსაფხვრელად, ან სარეველების კონტროლი დათესვისთანავე აღმოცენების წინ.

თესვა

კულტურის წარმატებისა და მოსავლიანობისათვის გადამწყვეტი ნაბიჯია თესვა. თესვა გავლენას ახდენს აღმოცენების სიჩქარეზე და ერთგვაროვნებაზე, მცენარეთა ფესვების ნიადაგზე მოჭიდებასა და სტრესის მიმართ მათ მომავალ გამძლეობაზე.

თესვის თარიღი განისაზღვრება ნიადაგის ტემპერატურის შესაბამისად.

სიმინდის ბირთვი 8-დან 10 გრადუსამდე ტემპერატურაზე ღვივდება თბილ და მშრალ ნიადაგში, სწრაფად აღმოცენების გარანტიისა და დატკეპნის თავიდან ასაცილებლად. ნიადაგის ტემპერატურა უნდა იყოს მინიმუმ 8 °.

სტატისტიკის თანახმად, ადრეული თესვა უფრო მეტი მოსავლის სინონიმია, რადგან კულტურა სარგებლობს გრძელი დღის შუქით, ხოლო განაყოფიერების ხარისხი გარანტირებულია ადრეული ყვავილებით.

ცხადია, უნდა გაითვალისწინოთ ამინდის პროგნოზი. დათესვა შეგიძლიათ ცივ ნიადაგში, თუ დღეები თბილია. საპირისპირო შემთხვევაში, მოერიდეთ თესვას, თუ მოსალოდნელია ძლიერ ცივი ამინდები.

თესვის სიმჭიდროვე განისაზღვრება ნიადაგის ტიპის, ჯიშის ადრეულობისა და კულტურის დანიშნულების (სასილოსე თუ მარცვლის წარმოებისათვის) მიხედვით.

სიმინდი უფრო მეჩხერად უნდა დაითესოს მსუბუქ და მშრალ ნიადაგში, უფრო მჭიდროდ მდიდარ და სარწყავ ნიადაგში.

რაც უფრო გვიანდელია ჯიში, მით უფრო მეჩხერია თესვა.

უფრო მჭიდროდ ითესება სილოსისთვის განკუთვნილი სიმინდი (+ 5000 გრ / ჰა), ვიდრე მარცვლეულისთვის.



ადრეულობის ჯგუფები	FAO-ს ადრეულობის ინდექსი	აღმოცენების შესაბამისად მისაღწევი სიმჭიდროვე მარცვლები / ჰექტარზე
ძალზე საადრეო	150/240	100 000 – 110 000
საადრეო	240/280	95 000 – 105 000
½ საადრეო	260/330	85 000 – 100 000
½ საადრეოდან ½ საგვიანო	310/400	80 000 – 90 000
½ საგვიანო	400/480	75 000 – 85 000
საგვიანო	470/560	72 000 – 85 000
ძალზე საგვიანო	550/620	68 000 – 78 000

რიგებს შორის მანძილი უნდა იყოს მორგებული მოსავლის ასაღებ ალქურვილობისა და, შეძლებისდაგვარად ფერმერზე. როგორც წესი, ეს არის 75 ან 80 სმ. თესვის ოპტიმალური სიღრმეა 3-4 სმ.

ერთგვაროვანი სიღრმე იძლევა ერთგვაროვანი აღმოცენების საშუალებას. თესვის სიღრმე შეგვიძლია განვსაზღვროთ ნიადაგის სხვადასხვა ფენის ტენიანობის და მისი მომზადების შესაბამისად. თესლი უნდა იყოს ნიადაგის ტენიან ნაწილში, რათა გაღვივდეს.

- თუ სიღრმე > 6 სმ: აღოცენება იქნება ნელი და ნაკლებად რეგულარული
- თუ სიღრმე < 3 სმ: თესლი უფრო მეტად იქნება ხელშესახები ფრინველებისათვის და მშრალ პირობებისათვის, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მათ აღმოცენებას.

თესვის სიჩქარე უნდა იყოს ადაპტირებული არსებულ ალქურვილობაზე და შესაძლებელი იყოს მისი სათანადოდ დარეგულირება. როგორც წესი სიჩქარე უნდა იყოს 4-დან 6 კმ / სთ-მდე.

სიმჭიდროვის ცხრილი

სიმჭიდროვე შემდეგი დაშორებებისათვის			თესლებს შორის ინტერვალი
70 სმ	75 სმ	80 სმ	სმ
71 429	71 429	62 500	20
73 260	68 376	64 103	19,5
75 188	70 175	65 789	19
77 220	72 072	67 568	18,5
79 365	74 074	69 444	18
81 633	76 190	71 429	17,5
84 034	78 431	73 529	17
89 286	83 333	78 125	16
95 238	88 889	83 333	15
102 041	95 238	89 286	14

მარცვლებს შორის ინტერვალის კალკულაცია
 ინტერვალი მარცვლებს შორის = 1 000 000 / დაშორება (მეტრი) / სიმჭიდროვე ჰექტარზე
 1000 მარცვლის მიხედვით



მაგალითი :

$$1\ 000\ 000 / 0.80 / 62\ 500 = 20$$

სიმჭიდროვის კალკულაცია

სიმჭიდროვე = $1\ 000\ 000 /$ დაშორება (მეტრი) / დაშორება მარცვლებს შორის (სმ)

მაგალითი :

$$1\ 000\ 000 / 0.80 / 20 = 62\ 500$$



განოციერება

მოსავლის აღებისას ნიადაგიდან გამოტანილი ელემენტების რაოდენობა კგ/ჰა

გამანოციერებელი ელემენტები		მარცვლის მოსავალი 10 ტონა/ჰა	სილოსის მოსავალი 16 ტონა მშრალი მასა/ჰა
აზოტი	N	143	184
ფოსფორი	P	26	29
კალიუმი	K	46	158
გოგირდი	S	9	14
მაგნიუმი	Mg	8	18

On considère que, au maximum, 10 à 20 % du phosphore et de la potasse sont utilisés la même année que l'apport. Il faut donc raisonner les apports en fonction de la richesse du sol et des exportations.

მიიჩნევა რომ, ფოსფორისა და კალიუმის მაქსიმუმ 10-20% გამოიყენება ერთი იმავე წელს. ამიტომ აუცილებელია ამ ელემენტების შეტანა მოხდეს ნიადაგის სიმდიდრის და მცენარის მიერ მინერალური ნივთიერებების გამოტანის რაოდენობათა შესაბამისად. საქართველოში ნიადაგების უმეტესობა მდიდარია ფოსფორითა და კალიუმით. მცენარეთა მოთხოვნები ძირითადად დაკმაყოფილებულია ზემოხსენებული ელემენტებით.

რაც შეეხება აზოტს, მისი საჭიროება უნდა შეფასდეს სასურველი მოსავლის რაოდენობიდან გამომდინარე.

ერთ ტონა მარცვალზე გამოსაყენებელი აზოტის მოსალოდნელი რაოდენობაა 2.1-2.3 კილოგრამი, ან 12-14 კილოგრამი ერთ ტონა სილოსის მშრალ მასაზე.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული აზოტის გამოყოფა ნიადაგიდან.

მარტივად რომ ვთქვათ, ნიადაგიდან გამოტანილი მინერალების ასანაზღაურებლად უნდა შევიტანოთ 150-დან 170 კილოგრამამდე.

მინერალური ელემენტების შეტანა შესაძლებელია თესვის წინ ან მის შემდეგ, მაგრამ სიმინდს 4-5 ფოთოლამდე.

თუ ფერმერს (ან კოოპერატივს) აქვს სიმინდის წარმოებას განსხვავებული პრაქტიკა აქვს, მაგალითად, ნაკელის დამატება, გასათვალისწინებელია მისი მუშაობის სტილი.

სარეველებთან ბრძოლა

სიმინდი ძალზე მგრძობიარეა სარეველებთან კონკურენციის მიმართ.

სარეველების განადგურება შესაძლებელია როგორც მექანიკურად ასევე, ქიმიურად.

ყველაზე ხშირად, მათი განადგურება ხდება ორივე მეთოდის კომბინაციით. ნებისმიერ შემთხვევაში, საჭიროა რომ სარეველებთან ბრძოლა დავიწყოთ რაც შეიძლება ადრეულ სტადიაზე.

ჰერბიციდით შეწამვლა შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც აღმოცენებამდე, ასევე აღმოცენების შემდგომაც, en un passage ou bien avec un rattrapage.

პირველი შეწამვლა უნდა განხორციელდეს საკმაოდ ადრეულად, 3-4 ფოთლის სტადიამდე და ახალგაზრდა სარეველებზე.

ზოგჯერ, სარეველებთან ბრძოლისათვის დამატებით საჭირო ხდება მიწის გაფხვიერება (თოხნა). გაფხვიერება შესაქმნელია გაკეთდეს 3-4 ფოთლის სტადიიდან დაწყებული, იმ სტადიამდე, როდესაც ტრაქტორს ეზღუდება მოძრაობა. გაფხვიერება არის ნიადაგის ზედაპირული სამუშაო (4-დან 6 სმ-მდე); თუ გაფხვიერება მოხდება უფრო ღრმად, ის დააზიანებს/განადგურებს სიმინდის ფესვებს და ხელახლა გაიზდრებიან სარეველები.

ჯიშები

საქართველოში, ლიმაგრანის მიერ შემოთავაზებული სიმინდის ჯიშებია: LG Justeen - ლგ ჯუსტინი, LG Agrister - ლგ არგისტერი, LG Aveline - ლგ აველინი, LG 30.500 და LG 31.695

LG JUSTEEN - ლგ ჯუსტინი

FAO ინდექსი 300 - ½ საადრეო - სასილოსე

მახასიათებლები :

საშუალო შეწონილი ტემპერატურა 32% მშრალი მასისთვის არის 1540-დან 1580-მდე

საწყის ეტაპზე აქვს კარგი ზრდის სიძლიერე

გააჩნია კარგი ენერგეტიკული ღირებულებები

გააჩნია მონელების მაღალი მაჩვენებელი

LG AGRISTER - ლგ არგისტერ

FAO ინდექსი 500 - საგვიანო - მარცვალი

მახასიათებლები:

მაღალი სტაბილურობისა და მაღალი ადაპტირების უნარების შერწყმა. მოსავლიანობის მაღალი მაჩვენებელი.

განვლილი სეზონების გამოცდილებამ აჩვენა რომ არგისტერს აქვს პატარა შეცდომების პატიების უნარი, ისევე როგორც უშეცდომოდ მომუშავე ფერმერების გულუხვად დასაჩუქების.



ეს ჯიში ადაპტირებადია ნიადაგის ტიპების უმრავლესობასთან და გააჩნია წინააღმდეგობათა მიმართ ამტანობა. მისი ღერო საშუალო სიმაღლიაა, მყარია, ელასტიური და ფოთლოვანი მასა ნაკლები აქვს. ამ ჯიშის სიმინდის ტაროები საკმაოდ ერთგვაროვანი ზომისაა, დაახლოებით მარცვლების 16-18 რიგით. მისი ადრეულობის ჯგუფიდან გამომდინარე, საკმაოდ კარგად შრება.

LG AVELINE - ლგ აველინი

FAO 500 - საგვიანო - სასილოსე

ჩემპიონებისათვის: სილოსი არის მერმეული ფურების თითქმის ყველა ფერმისათვის კვების უმთავრესი საფუძველი, ჰიბრიდული არჩევანი ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტი საუკეთესო პროდუქტის მისაღებად.

მახასიათებლები:

LG AVELINE - ლგ აველინის ბოჭკოები გამოირჩევა მაღალი მონელების მაჩვენებლით, რომელიც აჩქარებს ფაშვის გადაცემას, აღნიშნული საშუალებას მოგვცემთ დღის განმავლობაში, რაციონში, ის გამოიყენოთ დიდი რაოდენობით, და მიაღწიოთ მაღალ ენერგიულობას.

LG 30.500

FAO-ს ინდექსი 530-540 - საგვიანო - მარცვალი

მახასიათებლები:

- ძალზე ძლიერი ზრდის სიძლიერე დასაწყისისას.
- განვითარებული მცენარე.
- აღმართული ფოთლები.
- ტაროს მიმაგრება საშუალო.
- გამძლე ღერო.
- კარგი სანიტარული პირობები.
- helminthosporiose- ის კარგი ამტანობა

LG 31.695

FAO-ს ინდექსი 670 - ძალზე გვიანები - მარცვალი

საუკეთესო პოტენციალი და დაავადებების მაღალი გამძლეობა

მახასიათებლები:

ნებისმიერ პირობებში აქვს შესანიშნავი ამტანობა, განსაკუთრებით ჰიდროლოგიური სტრესის (წყლის დანაკლისის) გამო.

მცენარეს აქვს ძალზე კარგი აგებულება, აქვს საშუალო სიმაღლე და ტაროს მიმაგრება ქვემოთ, რომელიც გარდა თავისი კარგი ღეროსა, გვთავაზობს საუკეთესო გამძლეობას აქვს მაღალი გამძლეობა ისეთი დაავადებებისადმი, როგორებიცაა Cephalosporium და Helminthosporium.

აქვს კარგი ვეგეტაციური სტრუქტურა, დიდი და ერთგვაროვანი ფოთლები.





სილოსის აღება



მოსავლის აღების პროგნოზირება

საფურაჟე სიმიდის მოსავლის აღების ოპტიმალური პერიოდი არის მაშინ როდესაც მცენარის მთლიანი მშრალი მასა არის 32-33%. მშრალი მასის 30%-მდე მაჩვენებლის არსებობისას მოსავლის აღება ნიშნავს მოსავლიანობის შემცირებას და სილოსში შაქრის ოდენობის შემცირებას, რაც გამოწვეული წვეწის გამოდინებით.

მოსავლის აღება მაშინ, როდესაც მშრალი მასის მაჩვენებელი 35%-ზე მეტია, ნიშნავს რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება სილოსის შენახვა და მისი 2 ნაწილის (მარცვლების და ღეროების სახამებელი + ფოთოლი) მონელების უნარი სემცირდება

დასილოსება მოითხოვს სამუშაოთა ზედმიწევნით ორგანიზებულობას და სხვადასხვა ტიპის ტექნიკის ერთდროულად გამოყენებას. შესაბამისად, საჭიროა კოლექტიურად მუშაობა. გარდა იმისა რომ შესაბამის დროს მზად უნდა ვიყოთ, საჭიროა რომ კარგად გავთვალოთ მოსავლის აღების დრო. ყვავილობის სტადიიდან მოყოლებული, ჯიშის ადრეულობის მიხედვით, საჭიროა დღის განმავლობაში 550 და 700 გრადუსი დღეში (გამოთვლა დაფუძნებულია 6-30 გრადუს ცელსიუსზე), იმისთვის რომ მივაღწიოთ მოსავლის ოპტიმალურ რაოდენობას. ეს წარმოადგეს 45-დან 70-დღემდე, რეგიონის კლიმატისა და მიხედვით.

როდესაც ვსაუბრობთ ყვავილობის სტადიაზე, საქმე ეხება მდედრის ყვავილობას. ის შეესაბამება ტაროების ყვერზე სიმინდის ულვაშების გამოჩენას. ხრიკი, რომელიც უნდა დავიმახსოვროთ: ისინი ჩნდებიან პანიკულების მცენარის წვერზე გამოსვლიდან 8-10 დღეში.

სიმინდის მოსავლის აღების თარიღი შეესაბამება დღეს, როდესაც მცენარის ნახევარზე სიმინდის ულვაშები გამოსულია. ეს არი კულტურის ადრეულობის პირველი მაჩვენებელი.

ყვავილობის თარიღის ცოდნა აადვილებს მოსავლის აღების თარიღის დაგეგმვას
რატომ უნდა ცავინიშნოთ ზედმიწევნით ყვავილობის თარიღი? იმიტომ, რომ ყვავილობის დღის სამი დღით შეცდომა, ეს ნიშნავს რომ შევცდეთ მოსავლის აღების თარიღში ერთი კვირით და ვრისკავთ რომ სილოსში 2 ქულით გაიზრდება მშრალი მასის რაოდენობა.



ყვავილობიდან 3 კვირა

სიმინდის ულვაშების გამოსვლიდან 3 დან 4 კვირამდე პერიოდის შემდეგ (ყვავილობის საწყისი სტადია), ასევე, მარცვლებზე დაკვირვებაც იძლევა მოსავლის აღების ოპტიმალური თარიღის დადგენის საშუალებას.

ამ დროს, საკმაოდ ადვილია პერიკარპიუმის (ნაყოფსაფარი) შემჩნევა, რომელიც ჩნდება მარცვლის გარე ნაწილზე. პერიკარპიუმი, რომელიც არის ოქროსფერი მოყვითალო და ფრჩხილით ძნელად იჭყლიტყება, შეესაბამება სახამებლის მარაგს.

როდესაც პერიკარპიუმი შესამჩნევია სიმინდის მარცვალთა უმრავლესობაზე, ნიშნავს რომ მშრალი მასის შემცველობა არის 25-26%. სიმინდის იმგვარ ჯიშებზე, რომლებსაც აქვთ კბილისებრი ფორმის მარცვლები, ეს კონდიცია შეასებამება მარცვალთა უმრავლესობაზე ჩაღრმავებების გაჩენას.

საშუალო ზომის სიმინდისათვის, რომლის ფოთლებიც იწყებენ გამოშრობას, ეს სტადია შეესაბამება 28-29% მშრალი მატერიის არსებობას. სტადიაზე, როდესაც მარცვლების უმრავლესობას ეტყობა პერიკარპიუმი, საჭიროა მშრალი მატერიის კიდევ 6-დან 8 ქულამდე, იმისათვის რომ მივიღოთ მოავლის აღების ოპტიმალური პერიოდი, მთლიანი მცენარის მშრალი მატერიის 32%. ტემპერატურის მოთხოვნილებები შეესაბამება 150 გრადუსს დღეში (6-30 გრადუსზე დაფუძნებული გამოთვლა). აღნიშნული შეესაბამება 10-დან 20 დღემდე პერიოდს, რეგიონების მიხედვით, მოსავლის აღების პერიოდს და კლიმატურ პირობებს ხაფხულის დასასრულსა და შემოდგომაზე...



მარცვლეულის აღება



იპოვთ რაოდენობრივი და ხარისხობრივი კომპრომისი

მაქსიმალური მოსავლიანობა მიიღწევა ფიზიოლოგიურ სიმწიფისას, ანუ დაახლოებით მაშინ, როდესაც მარცვლის ტენიანობა არის 30-32% , მაშინ როდესაც მარცვლის ძირში ჩნდება შავი წერტილი. სიმინდის მინდვორშივე დატოვება საშუალებას იძლევა რომ სიმინდმა დაკარგოს ტენიანობა დალექვის გზით, მაგრამ აღნიშნული შეიცავს გარკვეულ რისკებს შეიცავს: ობის განვითარება ტაროებზე, მცენარის ჩაწოლა.

მინდორში გამოშრობა

მინდორში გაშრობა ხშირად წინააღმდეგობაში მოდის მინდორში არსებულ გაშრობის შესაძლებლობის არასაკმარისობასთან. შესაბამისად მინდორში გაშრობას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. მინდორში გაშრობა ეკონომიკურად ბევრად მომგებიანი და შესაძლებლობას იძლევა კულტურის ეკოლოგიური მაჩვენებლები იქნეს შენარჩუნებული. მაგრამ, მინდორში გაშროვა გვაავალდებულებს შევარჩიოთ უფრო მეტად საადრეო ჯიშები, რადგანაც არსებობდეს რეგიონისათვის დამახასიათებელი კლიმატური პირობები, რაც თავისთავად ამცირებს მოსავლის რაოდენობრივ პოტენციალს (გამოითვალეთ როგორც 5-დან 7 ცენტნერამდე 100 ერთეულზე).

აღნიშნული არჩევა გულისხმობს იმგვარი ჯიშის არჩევას, რომელიც განსაკუთრებით ცობილია თავისი მექანიკური გამძლეობითა და გაშრობის სიჩქარით.

ხელოვნური გამოშრობა

ხელოვნური გამოშრობა იცავს მოსავლას რაოდენობრივად და ხარისხობრივად. ის საშუალებას იძლევა ჩავერიოთ მაშინ, როდესაც მინდორში გამოშრობისას არის არახელსაყრელი პირობები: ქარბუქი, ყინვა, ფუზარიუმიდან (სოკოვანი დაავადება) გამომდინარე სანიტარული პირობების გაუარესება.

მიუხედავად იმისა, რომ მარცვლის ხარისხსა და ტენიანობას შორის კავშირი არ არის სისტემატური, ტარების ტენიანობა პირდაპირ გავლენას ახდენს გატეხასა და / ან დამარცვლაზე და, შესაბამისად, მარცვლების საბოლოო რაოდენობაზე.

საუკეთესო მაჩვენებელი : გადაწყვეტილების მისაღებად დააკვირდით მინდორს

იმისათვის რომ ვიზუალურად განვსაზღვროთ მცენარეების სტადია, უფრო მეტად უნდა ვენდოთ მარცვლების ასპექტებს ვიდრე ვეგეტაციურ გარეგნობას. იმისათვის რომ სწორად შევაფასოთ მცენარეთა სტადიები:

- დაეყრდნონ მცენარეული სისტემის ზოგად მდგომარეობას, რომ შეაფასონ მოსავლის აღება თავისუფალი ფიზიოლოგიური სიმძიმის მიღმა;
- მიჰყევით მარცვლეულის შევსების ხაზს შავ წერტილამდე (ან / და ტემპერატურის ჯამებით), რომ იცოდეთ მცენარეთა ეტაპი.
- დაეყრდნით ძირითადი ვეგეტაციური მდგომარეობას, რათა შეაფასოთ თუ რამდენი მუშახელი იქნება საჭირო მოსავლის აღებისას.
- თვალი ადევნეთ და მიჰყევით მარცვლების შევსებას, შავ წერტილამდე (ან/და ტემპერატურათა რაოდენობას), რათა იცოდეთ თუ რა სტადიაში იმყოფება მცენარე.

დასკვნის სახით, ხარისხი განისაზღვრება მინდორშივე...

ტექნიკური სახის არჩევანი კულტურის წარმოების პროცესისას, პირდაპირ გავლენას ახდენს ხარისხზე:

- სიმწიფე (მოსავალი/ტენიანობა) არის ოპტიმალური, არსებულ გარემოსთან ჰიბრიდების ადაპტაციასთან ერთად.
- მცენარეთა და მარცვლების სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესებულია მთლიანად კულტურის წარმოების განმავლობაში, თესვიდან მოყოლებული მოსავლის აღების ჩათვლით, სწორად ასპექტების ტექნიკის შერჩევით.
- მცენარის თავთავების სიმწიფე და სიჯანსაღის მდგომარეობა უნდა შეფასდეს მინდორში გასვლისას. აღნიშული საშუალებას იძლევა, წინასწარ დავადგინოთ მოსავლის აღების თარიღი.
- მარცვლების შევსება და მათი ტექნოლოგიური ხარისხი შენარჩუნებულია მაშინ, როდესაც ჩვენ დავაკმაყოფილებთ მცენარის წყლისადმი მოთხოვნილებას, განსაკუთრებით, ყვავილობის პერიოდში და მის შემდეგ.



François Heyraud - ფრანსუა ჰეირო FINEXCOOP საქართველოსთვის